დანართი 2

„დამტკიცებულია“

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის თავმჯდომარის
2018 წლის 13 ნოემბრის N6/19 ბრძანებით

კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა

N	ღონისძიებების დასახელება	შესრულების ვადა	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	კომისიის ადმინისტრაციული შენობის შიდა აზომვითი ნახაზების ელექტრონული ვერსიის წარდგენა დანიშნულებისამებრ	13.11.2018 წ.	რ. მორგოშია	
2	სახანძრო უსაფრთხოების შტაბის შემადგენლობის შერჩევა-დამტკიცება, სხვადასხვა მიზნობრივი მიმართულებების განსაზღვრა (საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრ „112“-ისთვის შეტყობინებაზე პასუხისმგებლობა, ევაკუაციისას სართულების დაცლის რიგითობის დაცვაზე პასუხისმგებლობა, შენობიდან გასული დასაქმებულების სიების შედგენისა და შენობაში მყოფი სტუმრების დაზუსტებაზე პასუხისმგებლობა) და შესაბამისი ჯგუფების ჩამოყალიბება	13.11.2018 წ.	ნ. ლომთაძე	
3	კომისიის ადმინისტრაციული შენობის სართულებზე პასუხისმგებელი პირების შერჩევა-გამოყოფა (სართულზე 2 დასაქმებული)	13.11.2018 წ.	ნ. ლომთაძე	
4	კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული ცეცხლმაქრების პერიოდული (თვეში ერთხელ) გადამოწმება და საჭიროებისას მათი დამუხტვის ორგანიზება	13.11.2018 წ.	ა. ავეტისოვი	
5	ფორს-მაჟორული სიტუაციისას (მიწისძვრა, ქიმიური დაბინძურება და სხვ.) განსხვავებული ხმოვანი შეტყობინების გამოყენების მიზნით მეგაფონისა და სასტვენების შეძენის ორგანიზება	13.11.2018 წ.	რ. მორგოშია	
6	კომისიის სავენტილაციო სისტემის სართულებზე და ოთახებში ინდივიდუალურად გადაკეტვის	26.11.2018 წ.	ვ. იაშვილი ა. ავეტისოვი	

	თაობაზე ინსტრუქტაჟის ჩატარების უზრუნველყოფა			
7	სათადარიგო ცეცხლმაქრების შეძენის უზრუნველყოფა	28.11.2018 წ.	რ. მორგოშია	
8	ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციის (მიწისძვრა, ქიმიური დაბინძურება და სხვ.) დროს კომისიის ადმინისტრაციული შენობიდან დასაქმებულთა ევაკუაციის გეგმის და ხანძრის პირობებში დასაქმებულთა ევაკუაციისას მოქმედების ინსტრუქციის სართულებზე რამდენიმე თვალსაჩინო ადგილზე განთავსება	28.11.2018 წ.	ნ. ლომთაძე	
9	ხანძრის დროს სიგნალის მიღების და სახანძრო ავტომატიკის გაუმართაობის შემთხვევაში, სახანძრო ავტომატური სისტემის მართვის პულტის სათავსოში მორიგე პირის (დაცვის თანამშრომელი) მოქმედების წესის ინსტრუქციის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება	28.11.2018 წ.	რ. მორგოშია ნ. ლომთაძე	
10	კომისიის ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური სართულზე დროებით დასაწყობებული აალებადი მასალის (საბურავები, მაგიდები, სკამები, ბაინდერებში განთავსებული საბუთები და სხვა ინვენტარი) გატანის ორგანიზება	30.11.2018 წ.	რ. მორგოშია ა. ავეტისოვი ი. იაშვილი	
11	კომისიის ადმინისტრაციული შენობის სართულების ახალი საევაკუაციო გეგმის (სართულებზე ოთახების დანომვრის, სიგნალიზაციის ჩამრთველი ღილაკების და ელექტროავტომატის ადგილმდებარეობის დატანით) შედგენა-შეთანხმება	03.12.2018 წ.	ნ. ლომთაძე	
12	კომისიის ადმინისტრაციული შენობის სარდაფში ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის დამონტაჟება	03.12.2018 წ.	რ. მორგოშია ნ. ლომთაძე	
13	სახანძრო უსაფრთხოებისა და სხვა საგანგებო სიტუაციებზე კომისიის აპარატში დასაქმებულთათვის სწავლების ჩატარებაზე განაცხადის წარდგენა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში	10.12.2018 წ.	ნ.ლომთაძე	